



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4118
06/08/2018

4118-09-2-201808061251



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად წარმოგიდგენთ „ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ (ს/ნ 233730772) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ტენდერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბენეფიციარების ყოველდღიური (დღეში ერთხელ) კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან გაფორმდა ხელშეკრულება. ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ფუნქციური დანიშნულების დაკარგვის გამო, საჭირო გახდა აღნიშნული საწარმოს ლიკვიდაცია.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ

მერის პირველი მოადგილის, გიორგი ფაცურიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

Handwritten signature in blue ink, appearing to read 'A. Sarishvili'.

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2018 წლის აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ (ს/ნ 233730772) ლიკვიდაციაზე
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე
ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს
ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ (ს/ნ 233730772) ლიკვიდაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი
თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე
მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე